

ზოგადი უნარების ტესტები

ლოგიკა

1. ჟირაფი, ნიანგი და ბეგემოტი სხვადასხვა სახლებში ცხოვრობენ. ჟირაფის სახლი არც წითელია და არც ცისფერი, ნიანგის სახლი არც წითელია და არც ყვითელი. რომელი ცხოველი რომელ სახლში ცხოვრობს?
 - ა) ჟირაფი – ცისფერში, ნიანგი – წითელში, ბეგემოტი – ყვითელში;
 - ბ) ჟირაფი – წითელში, ნიანგი – ცისფერში, ბეგემოტი – ყვითელში;
 - გ) ჟირაფი – ყვითელში, ნიანგი – წითელში, ბეგემოტი – ცისფერში;
 - დ) ჟირაფი – ყვითელში, ნიანგი – ცისფერში, ბეგემოტი – წითელში;
 - ე) ჟირაფი – ცისფერში, ნიანგი – ყვითელში, ბეგემოტი – წითელში.
2. სამი თევზი სამ სხვადასხვა აკვარიუმში ცხოვრობს, თითოში – თითო. წითელი თევზი არც სფეროს ფორმის აკვარიუმში ცხოვრობს და არც კონუსის ფორმის აკვარიუმში, ოქროს თევზი არც კუბის ფორმის აკვარიუმში ცხოვრობს და არც სფეროს ფორმის აკვარიუმში. რომელ აკვარიუმში ცხოვრობს მწვანე თევზი?
 - ა) სფეროს ფორმის აკვარიუმში;
 - ბ) კონუსის ფორმის აკვარიუმში;
 - გ) კუბის ფორმის აკვარიუმში.
3. სამსართულიან სახლში სხვადასხვა სართულზე ცხოვრობენ დათუნა, მიშიკო და ლევანი. დათუნა არც ყველაზე მაღლა ცხოვრობს და არც ყველაზე დაბლა. მიშიკო არც შუა სართულზე ცხოვრობს და არც ყველაზე დაბლა. რომელ სართულზე ცხოვრობს თითოეული ბავშვი?
 - ა) ლევანი – პირველზე, დათუნა – მეორეზე, მიშიკო – მესამეზე;
 - ბ) დათუნა – პირველზე, მიშიკო – მეორეზე, ლევანი – მესამეზე;
 - გ) ლევანი – პირველზე, მიშიკო – მეორეზე, დათუნა – მესამეზე;
 - დ) მიშიკო – პირველზე, დათუნა – მეორეზე, ლევანი – მესამეზე;
 - ე) მიშიკო – პირველზე, ლევანი – მეორეზე, დათუნა – მესამეზე;
 - ვ) დათუნა – პირველზე; ლევანი – მეორეზე; მიშიკო – მესამეზე.

4. ერთ ზოოპარკში დათვი, კენგურუ, ვეფხვი, ლომი და სპილოა, მეორეში – მელა, ზებრა, ვეფხვი.

რომელი ცხოველია როგორც ერთ, ისე მეორე ზოოპარკში?

ა) დათვი;

ბ) კენგურუ;

გ) სპილო;

დ) ლომი;

ე) ვეფხვი;

ვ) მელა;

ზ) ზებრა.

5. სამი მეგობარი – ნოდარი, ზაური და ლაშა სპორტის სხვადასხვა სახეობებს მისდევენ: ერთი – ფეხბურთს, მეორე – კალათბურთს, მესამე ხელბურთს, მაგრამ არა აუცილებლად ამ თანმიმდევრობით. გაარკვიეთ, რომელი ბავშვი სპორტის რომელი სახეობითაა დაკავებული, თუ ცნობილია, რომ ნოდარი არ მისდევს კალათბურთს, ხოლო ზაური თამაშობს ხელბურთს. ამასთანავე ცნობილია, რომ ყოველი ბავშვი სპორტის მხოლოდ ერთი სახეობითაა გატაცებული.

ა) ნოდარი – ხელბურთს, ზაური – ფეხბურთს, ლაშა – კალათბურთს;

ბ) ლაშა – ხელბურთს, ნოდარი – ფეხბურთს, ზაური – კალათბურთს;

გ) ზაური – ხელბურთს, ნოდარი – ფეხბურთს, ლაშა – კალათბურთს;

დ) ზაური – ხელბურთს, ლაშა – ფეხბურთს, ნოდარი – კალათბურთს;

ე) ნოდარი – ხელბურთს, ლაშა – ფეხბურთს, ზაური – კალათბურთს;

ვ) ლაშა – ხელბურთს, ზაური – ფეხბურთს, ნოდარი – კალათბურთს.

6. თეა უკეთ ისვრის კალათში ბურთს, ვიდრე ლევანი, მაგრამ უარესად, ვიდრე მაკა. ნოდარი, ჩვეულებრივ, ჯობნის ლევანას და ზოგჯერ თეასაც, მაგრამ ყოველთვის ჩამორჩება მაკას. თქვენი აზრით, ვინაა ყველაზე ცუდი მოთამაშე?

ა) მაკა;

ბ) თეა;

გ) ლევანი;

დ) ნოდარი.

7. ბავშვები დგანან რიგში; ბიჭი-გოგო-ბიჭი-გოგო- . . . თუ სულ რიგში 13 ბავშვი დგას და პირველი ბიჭია, ვინ იქნება ბოლოს?
- ა) ბიჭი;
 - ბ) გოგო;
 - გ) განსაზღვრა შეუძლებელია.
8. ორი კატა ორ თაგვს ორ საათში ჭამს.
რამდენ საათში შეჭამს 10 კატა 10 თაგვს?
- ა) 0,5 საათში;
 - ბ) 1 საათში;
 - გ) 1,5 საათში;
 - დ) 2 საათში;
 - ე) 2,5 საათში;
 - ვ) 3 საათში.
9. ორი კატა ორ თაგვს ორ საათში ჭამს.
რამდენ თაგვს შეჭამს 10 კატა 10 საათში?
- ა) 10 თაგვს;
 - ბ) 20 თაგვს;
 - გ) 35 თაგვს;
 - დ) 50 თაგვს;
 - ე) 65 თაგვს;
 - ვ) 70 თაგვს.
10. ორი კატა ორ თაგვს ორ საათში ჭამს.
რამდენი კატა შეჭამს 10 თაგვს 10 საათში?
- ა) 6კატა;
 - ბ) 5კატა;
 - გ) 4კატა;
 - დ) 3კატა;
 - ე) 2კატა;
 - ვ) 1 კატა.
11. ტაფაზე კატლეტის ერთი გვერდის შეწვას ერთი წუთი სჭირდება.მინიმუმ რამდენი წუთია საჭირო სამი კატლეტის შესაწვავად, თუ ტაფაზე ორი კატლეტი ეტევა?
- ა) 4 წუთი;
 - ბ) 2 წუთი;
 - გ) 1 წუთი;
 - დ) 5 წუთი;
 - ე) 3 წუთი.
12. თუ სტუდენტმა მათემატიკაში უმაღლესი შეფასება მიიღო, მაშინ ის უმაღლეს შეფასებას მიიღებს ფიზიკაშიც. ვთქვათ ეს დებულება სწორია.

ქვემოთ ჩამოთვლითაგან რომელი დებულებაა მაშინ აუცილებლად სწორი?

ა)თუ სტუდენტმა ფიზიკაში ვერ მიიღო უმაღლესი შეფასება. მაშინ ის უმაღლეს შეფასებას მათემატიკაში მიიღებდა;

ბ)თუ სტუდენტმა ფიზიკაში ვერ მიიღო უმაღლესი შეფასება, მაშინ ის უმაღლეს შეფასებას მათემატიკაშიც ვერ მიიღებდა;

გ)თუ სტუდენტმა ფიზიკაში უმაღლესი შეფასება მიიღო, მაშინ ის მათემატიკაშიც უმაღლეს შეფასებას მიიღებს;

დ)თუ სტუდენტმა მათემატიკაში ვერ მიიღო უმაღლესი შეფასება, მაშინ ის ფიზიკაშიც ვერ მიიღებს უმაღლეს შეფასებას.

13. ოჯახში 5, 8, 13 და 15 წლის ოთხი ბავშვია: ანიკო, ლევანიკო, გულიკო, დალიკო. რამდენი წლისაა ყოველი მათგანი, თუ ცნობილია, რომ ერთი გოგონა დადის საბავშვო ბაღში, ანიკო ლევანიკოზე უფროსია, ხოლო ანიკო და გულიკოს წლების ჯამი იყოფა სამზე?

ა) დალიკო – 5წ., ანიკო – 8წ., ლევანიკო – 13წ., გულიკო – 15წ.;

ბ) გულიკო – 5წ., ლევანიკო – 8წ., ანიკო – 13 წ., დალიკო – 15წ.;

გ) ლევანიკო – 5წ., გულიკო – 8წ., დალიკო – 13წ., ანიკო – 15წ.;

დ) ანიკო – 5წ., ლევანიკო – 8წ., დალიკო – 13წ., გულიკო – 15წ.;

ე) ლევანიკო – 5წ., დალიკო – 8წ., გულიკო – 13წ., ანიკო – 15წ.

14. ლოკოკინა მიცოცავს 10მ. სიმაღლის ბოძზე. ყოველ დღე ის აცოცდება 3 მ-ზე, ხოლო ღამით ჩამოცოცდება 2მ-ზე. რამდენ ხანში ავა ლოკოკინა ბოძის წვერზე?

ა) 9 დღისა და 9 ღამის შემდეგ;

ბ) 9 დღისა და 10 ღამის შემდეგ;

გ) 10 დღისა და 10 ღამის შემდეგ;

დ) 12 დღისა და 10 ღამის შემდეგ;

ე) 8 დღისა და 7 ღამის შემდეგ.

15. მარინას და ზურას 20 წიგნი აქვთ. მათგან 10 ლურჯია, დანარჩენი – წითელი; 5 წიგნი ილუსტრირებულია, დანარჩენი არა.

რამდენი ლურჯი წიგნი შეიძლება იყოს ილუსტრირებული?

ა) 2 წიგნი;

ბ) 4 წიგნი;

გ) 5 წიგნი;

დ) 10 წიგნი;

ე) 15 წიგნი.

16. მარინას და ზურას 20 წიგნი აქვთ. მათგან 10 ლურჯია, დანარჩენი – წითელი; 5 წიგნი ილუსტრირებულია, დანარჩენი არა.

რამდენი წითელი წიგნი შეიძლება იყოს ილუსტრაციების გარეშე?

ა) 4 წიგნი;

ბ) 5 წიგნი;

გ) 20 წიგნი;

დ) 10 წიგნი;

ე) 15 წიგნი.

17. მოცემულია კვირის დღეების დასახელებების მიმდევრობა:

ორშაბათი

სამშაბათი

ხუთშაბათი

კვირა

ხუთშაბათი

სამშაბათი

ორშაბათი

ორშაბათი

?

რომელი დღის დასახელებაა შემდეგი?

ა)ორშაბათი;

ბ)სამშაბათი;

გ)ოთხშაბათი;

დ)ხუთშაბათი;

ე) პარასკევი;

ვ)შაბათი;

ზ)კვირა.

18. ჯგუფში 40 მოსწავლეა, მათგან 25 – ვაჟია. ჯგუფის 30–მა მოსწავლემ იცის ცურვა. მაქსიმუმ რამდენმა ბიჭმა შეიძლება იცოდეს ცურვა?

ა) 25 ბიჭმა;

ბ) 20 ბიჭმა;

გ) 15 ბიჭმა;

დ) 10 ბიჭმა;

ე) 5 ბიჭმა.

19. ჯგუფში 40 მოსწავლეა, მათგან 25 – ვაჟია. ჯგუფის 30–მა მოსწავლემ იცის ცურვა. მაქსიმუმ რამდენმა გოგომ შეიძლება იცოდეს ცურვა?

ა) 10 გოგომ;

ბ) 7 გოგომ;

გ) 12 გოგომ;

დ) 15 გოგომ;

ე) 5 გოგომ.

20. ტაფაზე კატლეტის ერთი გვერდის შეწვას ერთი წუთი სჭირდება. მინიმუმ რამდენი წუთია საჭირო სამი კატლეტის შესაწვავად, თუ ტაფაზე ორი კატლეტი ეტევა?

ა) 4 წუთი;

ბ) 2 წუთი;

გ) 1 წუთი;

დ) 5 წუთი;

ე) 3 წუთი.

21. მოცემულია: ყველა ფირფიტა წითელია, ყველა წითელი ნივთი – კვადრატული ფორმისაა. ზოგ წითელ საგანს ცენტრში ნახვრეტი აქვს.

დავუშვათ, რომ ეს სამი დებულება ჭეშმარიტია. რომელი დასკვნა გამომდინარეობს მათგან აუცილებლად?

ა) ყველა ფირფიტა კვადრატული ფორმისაა;

ბ) ნებისმიერი, ცენტრში გახვრეტილი საგანი ფირფიტას წარმოადგენს;

გ) არც ერთი, პირველი ორი წინადადებიდან ჭეშმარიტი არ არის;

დ) პირველი ორი წინადადებიდან ორივე ჭეშმარიტია.

22. ავტოსადგომზე დგას ხუთი ავტომანქანა: ოპელი, მერსედესი, ფორდი, ბმვ და სიტროენი. ოპელი და ბმვ – თეთრი ფერისაა, დანარჩენი ფერადი. მერსედესი, ბმვ და სიტროენი – ძველია, დანარჩენი ახალი. ყველა ავტომანქანა, მერსედესისა და ფორდის გარდა, 4

კარიანია. ოპელის, ფორდისა და სიტროენის პატრონები – მამაკაცების, დანარჩენისა – ქალები.

რომელი ახალი ავტომანქანაა ფერადი?

ა) ოპელი;

ბ) მერსედესი;

გ) ფორდი;

დ) ბმვ;

ე) სიტროენი.

23. ავტოსადგომზე დგას ხუთი ავტომანქანა: ოპელი, მერსედესი, ფორდი, ბმვ და სიტროენი. ოპელი და ბმვ – თეთრი ფერისაა, დანარჩენი ფერადი. მერსედესი, ბმვ და სიტროენი – ძველია, დანარჩენი ახალი. ყველა ავტომანქანა, მერსედესისა და ფორდის გარდა, 4 კარიანია. ოპელის, ფორდისა და სიტროენის პატრონები – მამაკაცების, დანარჩენისა – ქალები.

რომელი ძველი ავტომანქანა ეკუთვნის მამაკაცს?

ა) ოპელი;

ბ) მერსედესი;

გ) ფორდი;

დ) ბმვ;

ე) სიტროენი.

24. ავტოსადგომზე დგას ხუთი ავტომანქანა: ოპელი, მერსედესი, ფორდი, ბმვ და სიტროენი. ოპელი და ბმვ – თეთრი ფერისაა, დანარჩენი ფერადი. მერსედესი, ბმვ და სიტროენი – ძველია, დანარჩენი ახალი. ყველა ავტომანქანა, მერსედესისა და ფორდის გარდა, 4 კარიანია. ოპელის, ფორდისა და სიტროენის პატრონები – მამაკაცების, დანარჩენისა – ქალები.

რომელი ახალი ავტომანქანაა 4 კარიანი?

ა) ოპელი;

ბ) მერსედესი;

გ) ფორდი;

დ) ბმვ;

ე) სიტროენი.

25. ავტოსადგომზე დგას ხუთი ავტომანქანა: ოპელი, მერსედესი, ფორდი, ბმვ და სიტროენი. ოპელი და ბმვ – თეთრი ფერისაა, დანარჩენი ფერადი. მერსედესი, ბმვ და სიტროენი – ძველია, დანარჩენი ახალი. ყველა ავტომანქანა, მერსედესისა და ფორდის გარდა, 4

კარიანია. ოპელის, ფორდისა და სიტროენის პატრონები – მამაკაცების, დანარჩენისა – ქალები.

ქალის რომელი ავტომანქანაა 4 კარიანი?

ა) ოპელი;

ბ) მერსედესი;

გ) ფორდი;

დ) ბმვ;

ე) სიტროენი.

26. ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ ჭკვიან ადამიანს შეუძლია საკუთარი შემოსავლებიდან თვეში 200\$-ის დაზოგვა. ამ დასკვნამდე რომ მისულიყო, მან აუცილებლად დაუშვა, რომ

ა) ის, ვისაც შეუძლია თვეში 200\$-ის დაზოგვა, ბრიყვი არ არის;

ბ) ყველა ჭკვიანი ადამიანი გამოიმუშავებს 200\$ მეტს თვეში;

გ) მხოლოდ ჭკვიანი ადამიანი გამოიმუშავებს 200\$-ზე მეტს თვეში;

დ) მხოლოდ ჭკვიან ადამიანს შეუძლია დაზოგოს თვეში 200\$.

რა დაუშვა ფინანსთა მინისტრმა აუცილებლად?

27. პატიმარს ამოსარჩევად შესთავაზეს სამი ოთახი, რომელთაგან ერთში პრინცესაა, დანარჩენ ორში – ვეფხვები. ოთახების კარებზე ასეთი წარწერებია:

1. ამ ოთახში ვეფხვია;
2. ამ ოთახში პრინცესაა;
3. ვეფხვი მეორე ოთახშია.

რომელ ოთახშია პრინცესა, თუ ამ სამი წარწერიდან მხოლოდ ერთია სწორი?

ა) პირველ ოთახში;

ბ) მეორე ოთახში;

გ) მესამე ოთახში.

28. პატიმარს ამოსარჩევად შესთავაზეს ორი ოთახი, რომელთაგან თითოეულში ვეფხვი ან პრინცესაა. ოთახებზე გაკეთებულია შემდეგი წარწერები:

1. ამ ოთახში პრინცესაა, მეორეში – ვეფხვი;
2. ამ ოთახებიდან ერთ-ერთში პრინცესაა, ხოლო ერთ-ერთში ვეფხვი

რომელ ოთახშია პრინცესა და რომელ ოთახში ვეფხვი, თუ ერთ-ერთი წარწერა სწორია, მეორე კი არასწორი?

ა) პრინცესა – პირველ, ვეფხვი – მეორე ოთახშია;

ბ) პრინცესა – მეორე, ვეფხვი – პირველ ოთახშია;

გ) ორივე ოთახში პრინცესებია;

დ) ორივე ოთახში ვეფხვებია.

29. კუნძულზე ცხოვრობს ორი გვარი, რომელთაგან ერთ–ერთის წარმომადგენლები ყოველთვის ტყუიან, მეორის წარმომადგენლები კი – ყოველთვის სიმართლეს ლაპარაკობენ. მოგზაური ხვდება ორ მათგანს და ცდილობს გაარკვიოს, ვინ არიან ისინი. იგი ეკითხება პირველს: „ვინ ხარ შენ“? კუნძულელი პასუხობს, მაგრამ მოგზაური ვერ გებულობს პასუხს. მოგზაური ეკითხება მეორეს: „რა თქვა მან“? მეორე პასუხობს: „სიმართლის მოყვარულთა გვარიდან“?

ვინ არის მეორე?

ა) სიმართლის მთქმელთა გვარის წარმომადგენელი;

ბ) მატყუარათა გვარის წარმომადგენელი;

გ) გარკვევა შეუძლებელია.

30. კუნძულზე ცხოვრობს ორი გვარი, რომელთაგან ერთ–ერთის წარმომადგენლები ყოველთვის ტყუიან, მეორის წარმომადგენლები კი – ყოველთვის სიმართლეს ლაპარაკობენ. კუნძულზე ჩამოსულმა მოგზაურმა იქირავა ერთ–ერთი მაცხოვრებელი, გამცილებლად. ერთ დღეს, მოგზაური და გამცილებელი, სეირნობისას ხვდებიან ერთ ადგილობრივ მაცხოვრებელს. მოგზაური ავალეხს გამცილებელს გაიგოს, რომელი გვარის წარმომადგენელია ეს კაცი. გამცილებელი დაბრუნდა და უპასუხა მოგზაურს, რომ იგი სიმართლის მთქმელთა გვარიდანაა.

რომელი გვარის წარმომადგენელია გამცილებელი?

ა) სიმართლის მთქმელთა გვარის წარმომადგენელი;

ბ) მატყუარათა გვარის წარმომადგენელი;

გ) გარკვევა შეუძლებელია.

31. კუნძულზე ცხოვრობს ორი გვარი, რომელთაგან ერთ–ერთის წარმომადგენლები ყოველთვის ტყუიან, მეორის წარმომადგენლები კი – ყოველთვის სიმართლეს ლაპარაკობენ. კუნძულზე ჩამოსული მოგზაური ხვდება კუნძულის სამ მცხოვრებს და ცდილობს გაარკვიოს, ვინ არიან ისინი. მოგზაური ეკითხება პირველს: „ვინ ხარ შენ“? იგი პასუხობს, მაგრამ იმდენად გაურკვეველად, რომ მოგზაური ვერაფერს არკვევს. მაშინ მოგზაური ეკითხება მეორეს: „რას ამბობს იგი“? „მან თქვა, რომ იგი მატყუარათა გვარიდანაა“ – პასუხობს მეორე. ამ დროს საუბარში ერევა მესამე, რომელიც ამბობს: „არ დაუჯეროთ მას! იგი მატყუარაა!“ (ამბობს მეორის შესახებ)

ამ სამი ადამიანიდან რომელია მატყუარათა გვარიდან და რომელი – სიმართლის მთქმელთა გვარიდან?

ა)პირველი – სიმართლის მთქმელთა, ხოლო მეორე და მესამე – მატყუარათა გვარის წარმომადგენელია;

ბ)პირველი და მეორე – სიმართლის მთქმელთა, ხოლო მესამე – მატყუარათა გვარის წარმომადგენელია;

გ)პირველი და მესამე – სიმართლის მთქმელთა, ხოლო მეორე – მატყუარათა გვარის წარმომადგენელია;

დ)მესამე – სიმართლის მთქმელთა, ხოლო პირველი და მეორე – მატყუარათა გვარის წარმომადგენელია;

ე)მეორე და მესამე – სიმართლის მთქმელთა, ხოლო პირველი – მატყუარათა გვარის წარმომადგენელია.

32. კალათბურთის გუნდები; თბილისის, თელავის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის და გორის მონაწილეობდნენ ტურნირში. ტურნირის დამთავრების შემდეგ აღმოჩნდა, რომ თბილისის გუნდი ჩამორჩა თელავის გუნდს სამი ადგილით, ქუთაისის გუნდი აღმოჩნდა ბათუმისა და სოხუმის გუნდებს შორის, გორის გუნდმა გაასწრო თელავის გუნდს, მაგრამ ჩამორჩა სოხუმისას. რომელი ადგილი დაიკავა თითოეულმა გუნდმა?

ა)I – თელავი, II – გორი, III – სოხუმი, IV – ქუთაისი, V – ბათუმი, VI– თბილისი;

ბ)I – თბილისი, II – ბათუმი, III – თელავი, IV – გორი, V – ქუთაისი, VI – სოხუმი;

გ) I – ბათუმი, II – ქუთაისი, III– სოხუმი, IV – გორი, V – თელავი, VI – თბილისი;

დ) I – თბილისი, II – ქუთაისი, III– სოხუმი, IV – გორი, V – ბათუმი, VI – თელავი;

ე) I– სოხუმი, II – გორი, III – თელავი, IV – ქუთაისი, V – ბათუმი, VI – თბილისი.

33. დავუშვით, რომ:

- მე-15 სკოლის ყოველი მე-9 კლასელი ყოველი ბიჭი კარგად თამაშობს ფეხბურთს და ბეჯითად სწავლობს მათემატიკას;
- გიგა ცუდად თამაშობს ფეხბურთს და ბეჯითად სწავლობს მათემატიკას.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დასკვნაა აუცილებლად მცდარი?

ა) გიგა სწავლობს მე-16 სკოლის მე-9 კლასში;

ბ) გიგა გასულ სასწავლო წელს სწავლობდა მე-9 კლასში;

გ) გიგა გასულ სასწავლო წელს მე-15 სკოლის მე-8 კლასში სწავლობდა;

დ) გიგა სწავლობს მე-15 სკოლის მე-9 კლასში.

34. ლევანს, გიორგის და ლიკას თითო სათამაშო აქვთ: ერთს –ველოსიპედი, მეორეს– მანქანა, მესამეს– ბურთი. დაადგინეთ ვის რა სათამაშო აქვს, თუ ცნობილია, რომ ლიკას არ აქვს ბურთი, ხოლო გიორგის აქვს მანქანა.

- ა) გიორგის–მანქანა, ლიკას–ბურთი, ლევანს– ველოსიპედი;
- ბ) გიორგის –ბურთი, ლიკას– ველოსიპედი,ლევანს –ბურთი;
- გ) გიორგის–ველოსიპედი, ლიკას–მანქანა, ლევანს– ბურთი;
- დ) გიორგის– მანქანა, ლიკას– ველოსიპედი,ლევანს – ბურთი.

35. მოცემულია:

- სანდროს ყვითელთმიანი და მოკლევაბიანი ყველა გოგო მოსწონს;
- სანდროს მაია არ მოსწონს.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ამ დებულებებიდან აუცილებლად?

- ა) მაიას თმები არ აქვს ყვითლად შეღებილი;
- ბ) მაიას აცვია გრძელი კაბა და თმები წითლად აქვს შეღებილი;
- გ) მაიას ან არ აცვია მოკლე კაბა, ან თმები არ აქვს ყვითლად შეღებილი;
- დ) მაიას თმები არ აქვს ყვითლად შეღებილი და აცვია გრძელი კაბა.

36. დავუშვით ,რომ:

- ტყუილია, რომ ყველა ცისფერთვალება გოგო რუსია.
- მხოლოდ რუს გოგოებს უყვართ ტუჩების შეღებვა.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ამ დებულებებიდან აუცილებლად?

- ა) არც ერთი ვისაც ტუჩების შეღებვა უყვარს, არაა ცისფერთვალება გოგო;
- ბ)ყველა რუსი გოგო როდია ცისფერთვალება;
- გ)ყველა ცისფერთვალება გოგოს როდი უყვარს ტუჩების შეღებვა;
- დ)ვისაც ტუჩების შეღებვა არ უყვარს, ცისფერთვალება გოგო არ არის.

37. მოცემულია დებულება, რომელშიც დაშვებულია შეცდომა ლოგიკის თვალსაზრისით:

- მხოლოდ შრომისმოყვარე აბიტურიენტი შეიძლება იყოს წარმატებული,საიდანაც გამომდინარეობს, რომ არ არსებობს წარმატებული აბიტურიენტი, რომელიც შრომისმოყვარეა.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შესწორება უნდა შევიტანოთ დებულებაში, რომ ის ლოგიკურად გამართული გახდეს?

ა) სიტყვა „მხოლოდ“ შეიცვალოს სიტყვით – „ზოგიერთი“;

ბ) სიტყვა „ მხოლოდ“ შეიცვალოს სიტყვით – „ყველა“;

გ) სიტყვებს „რომელიც შრომისმოყვარეა“ შორის ჩაემატოს სიტყვა – „არაა“;

დ) სიტყვები, „რომელიც შრომისმოყვარეა“ შეიცვალოს სიტყვებით – „რომელიც არის შრომისმოყვარე“.

38. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავჯდომარემ საზოგადოებას ამცნო მმართველი პარტიის „ტრიუმფალური“ გამარჯვება საპარლამენტო არჩევნებში, რის შემდეგაც მომავალი პარლამენტის პარლამენტართა 90% მმართველი პარტიის წარმომადგენელი იქნება.

ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით კახამ ივარაუდა, რომ ამომრჩეველთა უმრავლესობა კმაყოფილია მმართველი პარტიის საქმიანობით წინა წლებში.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტი აყენებს ეჭვქვეშ ამ ვარაუდს ?

ა) მთელი დღის განმავლობაში იგრძნობოდა ამომრჩეველთა აქტივობა, იყო კარგი ამინდი და უფასო ტრანსპორტი, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 98%-მა;

ბ) მთელი დღის განმავლობაში იგრძნობოდა ამომრჩეველთა აქტივობა, იყო ვდარი და გაძვირებული ტრანსპორტი, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 95%-მა;

გ) მთელი დღის განმავლობაში იგრძნობოდა ამომრჩეველთა აქტივობა, თუმცა უამრავმა ამომრჩეველმა ვერ მიღწია საარჩევნო პუნქტამდის, ვინაიდან იყო ავდარი და გაძვირებული ტრანსპორტი, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 75%-მა;

დ) არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 30%, გამარჯვებულმა პარტიამ მიიღო ხმების 56 %.

39. ბექამ წაიკითხა საგაზეთო ინფორმაცია: „საფეხბურთი კლუბ“ ფიორენტინას“ ახლა სერიაA-ში ადგილის შესანარჩუნებლად მოუწევს ბრძოლა და არა – საპრიზო ადგილისთვის.“

ბექამ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით ივარაუდა, რომ გუნდი მნიშვნელოვნად დასუსტდა წინა წელთან შედარებით, როდესაც „ფიორენტინამ“ ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტი აყენებს ეჭვქვეშ ამ ვარაუდს?

ა) გუნდი დატოვა რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ;

ბ) გუნდის საუკეთესო თავდამსხმელი, ოქროს ბუცის მფლობელი ლუკა ტონი არაა სათანადოდ მომზადებული;

გ) გუნდში საუკეთესო მოთამაშეები ტრავმირებულნი არიან;

დ) „ფიორენტინა“ კალჩოში აგორებული ცნობილი სკანდალის მსხვერპლი გახდა;

და სეზონს მინუს 19 ქულით დაიწყებს.

40. ოთხი ბიჭი: გუდამაყრელი, ხევსური, მთიული და მოხევე, ქორწინდებიან ისევ გუდამაყრელ, ხევსურ, მთიული და მოხევე ოთხ გოგონაზე, მაგრამ ისე. რომ:

- არცერთი არ ქორწინდება თავისი ხეობის წარმომადგენელზე;
- არც ხევსური და არც მთიული არ ქორწინდება მოხევეზე.

მოცემული ვარიანტებიდან რომელია შეუძლებელი?

ა) გუდამაყრელი – ხევსურზე;

ბ) მთიული– ხევსურზე;

გ) გუდამაყრელი – მოხევეზე;

დ) მთიული –ხევსურზე და გუდამაყრელი – მოხევეზე.

41. მოცემულია:

- გოგი იცნობს ნოდარს;
- ნოდარი იცნობს ლევანს.

რა გამომდინარეობს ამ დებულებებიდან?

ა) გოგი იცნობს ლევანს;

ბ) ნოდარი იცნობს გოგის;

გ) ლევანი იცნობს ნოდარს;

დ) პასუხი გაურკვეველია.

42. დავუშვათ, რომ

- არც ერთი ბრძენი არ არის მწვეველი;
- ზოგიერთი ბრძენი ქალია

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ამ დებულებებიდან აუცილებლად?

- ა) არც ერთი ქალი არ არის მწვეველი;
- ბ) ზოგიერთი ქალი არ არის მწვეველი;
- გ) ზოგიერთი ქალი არ არის ბრძენი;
- დ) ყველა მწვეველი არის ქალი.

43. თხუნელამ ტყის მეფედ დანიშვნის შემდეგ გადაწყვიტა აეკრძალა

- შაშვისთვის ჭახჭახი
- ბულბულისთვის სიმღერა ან კოდალასათვის ხეებზე კაკუნი.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ შემთხვევაში შეასრულა თხუნელამ თავისი გადაწყვეტილება.

- ა) თხუნელამ შაშვს ჭახჭახი აუკრძალა, ხოლო ბულბულისთვის – სიმღერის და კოდალასათვის – ხეებზე კაკუნის აკრძალვა დაავიწყდა;
- ბ) თხუნელამ ბულბულს სიმღერა აუკრძალა, ხოლო კოდალასათვის – ხეებზე კაკუნის და შაშვისთვის – ჭახჭახის აკრძალვა დაავიწყდა;
- გ) თხუნელამ შაშვს – ჭახჭახი და ბულბულს – სიმღერა აუკრძალა, მაგრამ კოდალასათვის ხეებზე კაკუნის აკრძალვა დაავიწყდა;
- დ) თხუნელამ ბულბულს სიმღერა აუკრძალა, მაგრამ კოდალასათვის – ხეებზე კაკუნის და შაშვისთვის – ჭახჭახის აკრძალვა დაავიწყდა.


44. ბექა ნიკა და ლაშა მორიგეობით ისვრიან

ბურთს კალათში ნახაზზე მითითებული

თანმიმდევრობით. ვინ შეასრულებს


51-ე და 54-ე სროლებს?

- ა) ბექა, ნიკა; ბ) ნიკა, ლაშა;
- გ) ბექა, ლაშა; დ) ლაშა.



45. სანდრო, ვანო, შოთა და ილია ქეიფობენ

მრგვალი მაგიდის გარშემო ნახაზზე მითითებული განლაგებით, ამასთან ალავერდს გადადიან ისრების მიმართულებით, ორ-ორი კაცის გამოტოვებით. პირველ ალავერდს ილია გადავიდა შოთასთან.



ვინ დალევს 29-ე ალავერდს?

- ა) სანდრო; ბ) ვანო; გ) შოთა; დ) ილია.

46. დავუშვათ, რომ

- ყველა ქართველს უყვარს ვაზი;
- ზოგიერთ მევენახეს არ უყვარს ვაზი.

თუ ეს დებულებები ჭეშმარიტია, მაშინ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი?

- ა) ვაზის მოყვარული ზოგიერთი ქართველი არ არის მევენახე;
- ბ) მხოლოდ ქართველს უყვარს ვაზი;
- გ) ქართველები მევენახეები არიან;
- დ) მხოლოდ ქართველები არიან მევენახეები.

47. დავუშვათ, რომ საპრიზო ადგილებზე გასულ სამ სპორტსმენს პრიზებათ ერგოთ კომპიუტერები, P2, P3 და P4, თითოეულს – თითო; ამასთან:

- მხოლოდ ერთი სპორტსმენის ადგილის ნომერი ემთხვევა კომპიუტერის თაობის აღმნიშვნელ ნომერს.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია აუცილებლად მცდარი?

- ა) პირველ ადგილზე გასულს ერგო P2;
- ბ) პირველ ადგილზე გასულს ერგო P3;
- გ) პირველ ადგილზე გასულს ერგო P4;
- დ) მესამე ადგილზე გასულს ერგო P4.

48. საკონკურსო კომისიამ ჩაატარა კონკურსი სამი თანამდებობის დასაკავებლად. კონკურსში გამარჯვებულები აღმოჩნდნენ ადა, მარი და ადამარი. თანამდებობები და შესატყვისი ხელფასები მოცემულია ცხრილში:

თანამდებობა	ხელფასი (ლარებში)
სრული პროფესორი	800
ასისტენტ პროფესორი	500
ასისტენტი	300

ამასთანავე ვიცით, რომ

- ადამარი წუხდა იმაზე, რომ ვერ დაიკავა ყველაზე მაღალანაზნაურებადი თანამდებობა და იმაზეც, რომ ხშირად უწევდა ასისტენტის შეწუხება აუდიტორიების ძებნისას;
- ადა ხარობდა იმიტომ, რომ მისი ხელფასი, ჯერ ერთი არაფრით ჩამორჩებოდა ადამარის და ასისტენტის ხელფასთა ჯამს და მეორეც, აღემატებოდა ყველაზე დაბალანაზნაურებადი პარლამენტარის ხელფასის მეხუთედს.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელშია ზუსტად მითითებული კონკურსის შედეგები?

- ა) ადა– სრული პროფესორი, მარი– ასისტენტ პროფესორი, ადამარი– ასისტენტი;
- ბ) ადამარი – სრული პროფესორი, მარი– ასისტენტ პროფესორი, ადა –ასისტენტი;
- გ) მარი – სრული პროფესორი, ადა– ასისტენტ პროფესორი, ადამარი –ასისტენტი;
- დ) ადა– სრული პროფესორი, ადამარი – ასისტენტ პროფესორი, მარი– ასისტენტი.

49. დავუშვათ, რომ შოთა, გიორგი და სანდრო

- ოლიმპიური ჩემპიონებია სპორტის სხვადასხვა სახეობაში – კრივში, ჭიდაობაში და ძალოსნობაში;
- არიან სხვადასხვა სოფლიდან – ზემოქედიდან, ბოდბისხევიდან და თოხლიაურიდან;
- ერთი მთიულია, მეორე –ქიზიყელი, ხოლო მესამე – ხევსური.

ცნობილია აგრეთვე, რომ

- სანდრო არაა ბოდბისხევიდან, ხოლო გიორგი – ზემო ქედიდან;
- ბოდბისხეველი არაა ოლიმპიური ჩემპიონი ძალოსნობაში;
- მთიული ზემოქედიდანაა და კრივშია ოლიმპიური ჩემპიონი, შოთა ძალოსნობაშია ოლიმპიური ჩემპიონი;
- ჭიდაობაში ოლიმპიური ჩემპიონი არაა ქიზიყელი.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულებაა მცდარი?

- ა) გიორგი ხევსურია, ბოდბისხევიდანაა და ჭიდაობაშია ოლიმპიური ჩემპიონი;
- ბ) სანდრო მთიულია, ზემოქედიდანაა და კრივშია ოლიმპიური ჩემპიონი;
- გ) შოთა ქიზიყელია, თოხლიაურიდანაა და ძალოსნობაშია ოლიმპიური ჩემპიონი;
- დ) გიორგი ხევსურია, სანდრო ქიზიყელია და შოთა მთიული.

50. პარლამენტმა საზოგადოებას წარუდგინა სამი ნიღბოსანი – გიგი, კახა და სიმონი. მათი გვარებია: ტურაშვილი, მგელაძე და მელაშვილი. ცნობილია, რომ სიმონი არ არის მელაშვილი, კახა სამი წელია განათლების სფეროში მოღვაწეობს, მელაშვილს კი ამ სფეროში მოღვაწეობის უფრო მეტი სტაჟი აქვს. ვიცით აგრეთვე, რომ ტურაშვილი მხოლოდ სანტექნიკითაა დაკავებული.

ჩამოთვლილთაგან რომელშია მითითებული ზუსტად თითოეული ნიღბოსნის სახელი და გვარი?

- ა) გიგი მგელაძე, კახა მელაშვილი, სიმონ ტურაშვილი;
- ბ) გიგი მელაშვილი, კახა ტურაშვილი, სიმონ მგელაძე;
- გ) გიგი ტურაშვილი, კახა მელაშვილი, სიმონ მგელაძე;
- დ) გიგი მელაშვილი, კახა მგელაძე, სიმონ ტურაშვილი.

51. ცხრილში მითითებულია ბავშვების სახელები და მათ მიერ კინოთეატრში დაკავებული ადგილების ნომრები კინოსეანსის დაწყებამდე. კინოსეანსის მიმდინარეობისას ბავშვებმა რამოდენიმეჯერ შეიცვალეს ადგილები, ოღონდაც ყოველ ჯერზე – თითოს გამოტოვებით.

1	2	3	4	5	6	7	8
ეკა	ვანო	ზურა	შოთა	შალვა	თამუნა	ნინო	მედიკო

ჩამოთვლილთაგან რომელია შეუძლებელი?


- ა) კინოსეანსის მიმდინარეობისას ნინო იჯდეს №3 და შოთა – № 8 სკამზე;
- ბ) კინოსეანსის მიმდინარეობისას ვანო იჯდეს №6 და ეკა – № 7 სკამზე;
- გ) კინოსეანსის მიმდინარეობისას შალვა იჯდეს №1 და შოთა – № 2 სკამზე;
- დ) კინოსეანსის მიმდინარეობისას თამუნა იჯდეს №2 და ზურა – № 8 სკამზე.

52. ვთქვათ, ტყუილია, რომ გუნდში ყველა ფეხბურთელი უშიშარია.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ამ დებულებიდან აუცილებლად?

- ა) გუნდში არც ერთი ფეხბურთელი არ არის მშიშარა;
- ბ) გუნდში არც ერთი ფეხბურთელი არ არის უშიშარი;
- გ) გუნდში ზოგიერთი ფეხბურთელი უშიშარია;
- დ) გუნდში ზოგიერთი ფეხბურთელი მშიშარაა.

53. დავუშვათ, რომ დიაგრამაზე ოთხკუთხედი აღნიშნავს თბილისელთა სიმრავლეს, მარცხენა წრე – სახელმწიფო პოლიტიკის მხარდაჭერთა, ხოლო მარჯვენა – პენსიონერთა სიმრავლეს. რიცხვი ერთი აღნიშნავს ორივე წრის გარეთ მდებარე ოთხკუთხედის ნაწილს, 2 - მარცხენა წრის იმ ნაწილს, რომელიც მარჯვენა წრის გარეთაა, 3 – ორივე წრის საერთო ნაწილს, 4 – მარჯვენა წრის იმ ნაწილს, რომელიც მარცხენა წრის გარეთაა.



ამ რიცხვებიდან რომლითაა აღნიშნული იმ თბილისელ პენსიონერთა სიმრავლე, რომელნიც არ არიან სახელმწიფო პოლიტიკის მხარდამჭერნი?

- (ა) 1; (ბ) 2; (გ) 3; (დ) 4.

54. თუ მრგვალი მაგიდის გარშემო ზის სხვადასხვა ასაკის სხვადასხვა სიმაღლის ოთხი ბავშვი – ორი გოგონა და ორი ბიჭი, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელია შესაძლებელი?

- ა) ყოველი მათგანი იჯდეს მასზე უფრო მაღლებს შორის;
- ბ) ყოველი მათგანი იჯდეს მასზე უფროსებს შორის;

გ) ყოველი მათგანი იჯდეს გოგონებს შორის;

დ) ყოველი მათგანი იჯდეს მასზე უფროსებს შორის, ან ყოველი გოგო იჯდეს ბიჭებს შორის.

55. დავეშვათ, რომ:

- ყველა ის აბიტურიენტი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა ზოგადი უნარების გამოცდა, გონიერია.
- სტუდენტი გახდა მხოლოდ ის აბიტურიენტი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა ზოგადი უნარების გამოცდა.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ამ დებულებიდან აუცილებლად?

ა) ყველა აბიტურიენტი, ვინც წარმატებით ჩააბარა ზოგადი უნარების გამოცდა, გახდა სტუდენტი;

ბ) ყველა აბიტურიენტი, ვინც გახდა სტუდენტი, გონიერია;

გ) აბიტურიენტი, ვინც ვერ გახდა სტუდენტი, არაა გონიერი;

დ) ყველა გონიერი აბიტურიენტი გახდა სტუდენტი.

56. მეღვინე ღვინის დასაყენებლად მხოლოდ სამი ჯიშის ყურძენს – რქაწითელს, მანავის მწვანეს და საფერავს წურავდა.

- თუ მეღვინე რქაწითელს წურავდა, იგი წურავდა მანავის მწვანესაც;
- თუ მეღვინე წურავდა მანავის მწვანეს, წურავდა საფერავსაც.

მეღვინემ ღვინო დააყენა მხოლოდ ერთი ჯიშის ყურძნით. რომელია ეს ჯიში?

ა) მანავის მწვანე;

ბ) რქაწითელი;

გ) მანავის მწვანე ან რქაწითელი;

დ) საფერავი.

57. შალვამ პარტიის წევრებს ამცნო:

- მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება პარლამენტის წევრთა ხელფასების უსაშველო გაზრდის შედეგია;
- პარლამენტის წევრთა ხელფასების უსაშველო გაზრდა სამთავრობო გუნდის ინტერესებშია.

ნინომ იმსჯელა გარკვეული წესით და დაასკვნა:

მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება სამთავრობო გუნდის ინტერესებშია.

როგორ დასკვნას გამოიტანს ნინო შემდეგი ფაქტებიდან, თუ იმავე წესით იმსჯელებს?

- საქართველოს ტყეები მეჩხერდება საწვავის მაღალი ფასების გამო;
- საწვავზე მაღალი ფასები სამთავრობო გუნდთან დაახლოებულ ექსპორტიორთა ინტერესებშია.

ა) საწვავზე მაღალი ფასები საქართველოს ტყეების გამეჩხერების შედეგია;

ბ) ექსპორტიორთა სამთავრობო გუნდთან დაახლოება საწვავის მაღალი ფასების შედეგია;

გ) საწვავის დაბალი ფასები ტყეების შენახვის შედეგია;

დ) საქართველოს ტყეების გამეჩხერება სამთავრობო გუნდთან დაახლოებულ ექსპორტიორთა ინტერესებშია.

58. მოცემულია:

- უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგთა მხოლოდ მცირე ნაწილია კორუმპირებული
- უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგთა უმრავლესობა სამსახურიდან დათხოვნის კანდიდატია.

თუ ეს დებულებები ჭეშმარიტია, მაშინ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს მცდარი?

ა) უმაღლესი სასწავლებლის ზოგიერთი პედაგოგი სამსახურიდან დათხოვნის კანდიდატია;

ბ) უმაღლესი სასწავლებლის ზოგიერთი პედაგოგი კორუმპირებულია;

გ) უმაღლესი სასწავლებლის ზოგიერთი პედაგოგი არაკორუმპირებულია;

დ) უმაღლესი სასწავლებლის ზოგიერთი პედაგოგი კორუმპირებულია და სამსახურიდან დათხოვნის კანდიდატი.

59. მოცემულია:

– ყველაფერი, რაც მრგვალია, ბურთი არ არის.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ დებულებას აქვს იგივე შეინაარსი, რაც მოცემულს?

ა) რაც ბურთი არ არის, მრგვალი არაა;

ბ) ზოგიერთი რამ, რაც მრგვალია, ბურთი არაა;

გ) არსებობს ისეთი ბურთი, რომელიც მრგვალი არაა;

დ) რაც მრგვალია, ბურთი არაა;

ე) არსებობს ბურთი რომელიც მრგვალია.

60. დავუშვათ, რომ

– ყველა აგურის სახლს წითელი სახურავი აქვს.

თუ ეს დებულება ჭეშმარიტია, მაშინ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება მცდარი იყოს?

- ა) არ არსებობს აგურის სახლი, რომელსაც არ აქვს წითელი სახურავი;
- ბ) ყველა წითელსახურავიანი სახლი აგურისაა;
- გ) არც ერთი სახლი, რომელსაც წითელი სახურავი არ აქვს, არ არის აგურის
- დ) არსებობს წითელსახურავიანი აგურის სახლი;
- ე) არ არსებობს წითელსახურავიანი ხის სახლი.

61. – ყველა მონადირეს სურს გაიგოს, სად ზის ხობობი;

– არც ერთს, ვისაც ტკბილად სძინავს, არ აინტერესებს ხობობის ადგლსამყოფელი.

თუ ეს დებულება ჭეშმარიტია, მაშინ **აუცილებლად**

- ა) არცერთ მონადირეს არ ძინავს ტკბილად;
